

საჯარო და კერძო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების ანალიზი

მარიამ გულისაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

სარჩევი

1. შესავალი.....	4
2. კვლევის მიზანი და ამოცანები.....	6
3. მოსალოდნელი შედეგები.....	6
4. კვლევის მეთოდოლოგია.....	7
5. ძირითადი მიგნებები.....	9
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი უფლებები.....	10
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები.....	12
8. სახელმწიფო პოლიტიკის მოდელები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის.....	16
9. ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკები.....	18
10. საქართველოში არსებული რეალობა და გამოწვევები.....	26
11. დასაქმების სფეროში არსებული სახელმწიფო სერვისები.....	27
12. ქვეყანაში არსებული პრობლემები შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით.....	29
13. რეგულაციები და საქართველოს სტრატეგია შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის.....	36
14. შშმ პირთა დასაქმების სტატისტიკა საქართველოში.....	39
15. თანამედროვე ტექნოლოგიების როლი შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის.....	43
16. კვლევის შედეგები.....	45
17. შედეგების შეჯამება.....	51
18. დასკვნა.....	52
19. რეკომენდაციები.....	54

აბრევიატურების ჩამონათვალი

შშპ პირი– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

DEIA- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების სამოქმედო აქტი

LSS- აქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისა და მომსახურების შესახებ

SDGs- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (2015–2030)

IT- ინფორმაციული ტექნოლოგიები

UD- უნივერსალური დიზაინი

CRPD- შშპ პირთა უფლებების კონვენცია (Convention on the Rights of Persons with Disabilities)

IDFI- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გულისაშვილი

26.06.2019

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმების გამოვლენა საქართველოში 2014-2020 წლებში.

შშმ პირები არიან ყველზე იზოლირებული ჯგუფი მსოფლიოში. თანამედროვე სამყაროს მოსახლეობის 15%-ზე მეტი ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობის გარკვეული ფორმით. თითოეული მათგანი დგას ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორცაა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, განათლების დაბალი დონე, ეკონომიკურ ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობა და სიღარიბის დონის ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

დასაქმება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას და არის საკმაოდ პრობლემატური საკითხი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება კიდევ უფრო აქტუალურია. შრომის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია გაეროს უფლებათა კონვენციით და გულისხმობს “შშმ პირების სოციალურ ცხოვრებაში აქტიურად და სრულფასოვნად მონაწილეობის ხელშეწყობას”(CRPD, 03.05.2008).

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს „შშმ პირებისათვის შექმნას უსაფრთხო, ანტიდისკრიმინაციული გარემო, სადაც ისინი თავს იგრძნობენ როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ქვეყანა შეიმუშავებს გარკვეული სახის პროგრამებს რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტაჟირებას, სამუშაო უნარ-ჩვევების განვითარებასა და დასაქმებას“(სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პოლიტიკა, 2019).

ნაშრომში განხილულია ქვეყანაში არსებული ბარიერები და დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას უშლის ხელს, როგორცაა: არაადაპტირებული გარემო და შენობები, არაადაპტირებული სამუშაო სივრცე, არაადაპტირებული ვებ-გვერდები, საზოგადოების დამოკიდებულება, ინფორმაციის ნაკლებობა. წარმოდგენილია ინფორმაცია არსებულ ვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობ მოქმედ პროგრამებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხელშეწყობით დასაქმება, სახელმწიფო პოლიტიკა, საჯარო და კერძო სექტორი

Abstract

The main aim of this work is to identify the mechanisms for the employment of people with disabilities and their full integration in society in Georgia.

People with disabilities are the most marginalized group in the world. They do not have equal access to education, employment opportunities and health care. More than 15% of people in the world live with some form of disability and the number of people with disability is growing. People with disabilities are more likely to experience adverse socioeconomic outcomes and poverty than people without disabilities.

Nowadays, employment is one of the most important problem not only in Georgia but in different countries. However, it should be noted, that employment of people with disabilities is even more relevant. Their involvement in social and economic processes is low. The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities promotes the full integration of people with disabilities in societies.

The legislation of Georgia provides to create a safe, anti-discrimination environment for people with disabilities. There are different programs in the country which help their employment. One of the most important is “Supported Employment Program” and it helps people with disabilities to get the job that meets their needs.

The work presents the barriers and obstacles that affect the employment the people with disabilities, such as: a physical environment that is not accessible, negative attitudes of people towards disability, lack of information.

Key search keywords: people with disabilities, supported employment, public policy, public and private sector